

სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

პრეამბულა

- 1.წინამდებარე წესით განისაზღვრება სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ (შემდგომში „კოლეჯი“) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- 2.ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზანია კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდა თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით უზრუნველყოფის გზით.

მუხლი 1. ადამიანური რესურსი, მისი მართვა

- 1.ადამიანური რესურსი წარმოადგენს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, ადამიანებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის.
- 2.თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები, თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები და ა.შ
- 3.ადამიანური რესურსების სწორი მართვა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა კოლეჯის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.

მუხლი 2. ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები

- 1.ადამიანური რესურსების მართვის მიზანია:
 - ა)კოლეჯის შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა;
 - ბ)დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა;
 - გ)თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ხელშეწყობა;
 - დ)თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმის გამოყენება;
- 2.ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა:
 - ა)სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტება;
 - ბ)თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა;
 - გ)თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა;
 - დ)შრომის შინაგანაწესისა შესრულებისა და შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი;
 - ე)თითოეულ საშტატო (შტატგარეშე) თანამდებობისთვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების შეძლებისდაგვარად დეტალური გაწერა;
- 3.ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს - სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ ადმინისტრაცია

მუხლი 3. ორგანიზაციული სტრუქტურა

- 1.სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმძღვანების თანამდებობაზე დანიშვნის და განთავისფლების წესი, დირექტორის უფლება-მოვალეობები დცა სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება კოლეჯის წესდებით.
- 2.სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამატებით აყვანილი იქნას შტატგარეშე თანამშრომლებიც.

დამტკიცებულია:
სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის
2025წლის 17 თებერვლის ბრძანება N02/10

მუხლი 4. კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევა

- 1.სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების წესს ადგენს კოლეჯის წესდება.
- 2.პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან;
- 3.კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით დაკომპლექტება.